



ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორბანთა-ციხის კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს ჯანსუფიერების კური საბჭოს ორბანო

ამ სურათზეა მხოვლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ტანმოვარჯიშე ლ. ლატინინა. იგი ყველა ვარჯიშს, ვარჯიშთა ნაერთს დიდი სიზუსტით, გრაციულობით ასრულებდა. მან წამდვილად მოინადირა თბილისელ სპორტის მოყვარულთა გულები.



ეს საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო ტანმოვარჯიშე სპორტის ოსტატი რ. კაპახიძეა, მან ამ ერთი თვის წინათ მოსკოვში, საკავშირო პირველობაზე ღერძზე ვარჯიშში ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ამ ჩემპიონატში რ. კაპახიძე დღეისათვის მე-8 ადგილზეა.

ურანბურთა ჯამპიონატი დაიწყო

ჭერ ახალი წელი არ დამდგარა და უძლიერეს ფრენბურთელთა 1962 წლის საბჭოთა კავშირის პირველობის წინასწარი თამაშები უკვე დაიწყო. იგი ხარკოვში, ლენინგრადში, მინსკში, ვილნიუსში, ტალინსა და თბილისში ტარდება. პირველ ხუთ ქალაქში ტურნირის მონაწილეთა პირველი ორთაბრძოლები დღეს მთავრდება, თბილისში კი ფრენბურთელთა პაექრობა ხვალ იწყება.

ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლაში დასვებულა „ა“ კლასის 24 ქალთა და 24 ვაჟთა გუნდი. გუნდები დაყოფილია ოთხეულედა, რომლებიც ჩაატარებენ წინასწარ შეხვედრებს ერთ წრედ. ქვეჯგუფებში ორ-ორი გამარჯვებული გუნდებისაგან შეიქმნება საფინალო ჯგუფები (ქალთა 12 გუნდი და ვაჟთა 12 გუნდი). საფინალო ჯგუფების მონაწილე კოლექტივები ოქროს მედლებისათვის იბრძობლებენ 2 წრედ. ფინალური თამაშები დაიწყება დაახლოებით ერთი თვის შემდეგ. დანარჩენი კოლექტივები, რომლებიც ქვეჯგუფებში III-IV ადგილებს დაიკავებენ, გაითამაშებენ მეცამეტედან-ოცდამეათე ადგილებს.

ფენოგენალური რეპორტები

დნეპროპეტროვსკი. (ტელეგრაფით). შეიძლება თამამად ითქვას, რომ საერთაშორისო სარბიელზე არც ერთ სახეობას არ განუცდია ისეთი პროგრესი, როგორც სიმძიმეების აწევას. სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების უძლიერეს შტანგისტთა შეჯიბრებამ წარმოშვა მსოფლიო რეკორდების მთელი წყება, რომლებიც თავიანთი მნიშვნელობით ფენოგენალურ კატეგორიას მიეკუთვნებიან. თითქოს დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ცნობილი ამერიკელი შტანგისტი ბ. ანდერსონმა გადააბიჯა მასწინ წარმოუდგენლად მინიუელ ზღვარს მძიმე წონაში — 500 კილოგრამს სამჭიდში. მაგრამ გავიდა მცირე დრო და საბჭოთა ძალოსანმა ი. ვლასოვმა, რომელსაც ჰერკულესის კუნთები და ტანმოვარჯიშის სხეული აქვს, XVII ოლიმპიურ თამაშებზე რომში მიადწია არანახულ მაჩვენებელს — 587,5 კილოგრამს. და აი ახლა, 22 დეკემბერს ი. ვლასოვმა კვლავ განაცვიფრა სპორტული მსოფლიო. მან თავის მსოფლიო რეკორდს სამჭიდში ერთბაშად 13 კილოგრამი მოუმატა (!). პირველ მოძრაობაში — აჭიმვაში, ი. ვლასოვმა გამართულ მკლავებზე სუფთად აიტანა 180 კილოგრამი. ატაცში იგი თავის შესაძლებლობაზე ოდნავ დაბლა გამო-

ვიდა და 160 კგ აჩვენა, ხოლო როცა აკვარში უკანასკნელ ცდაზე მივიდა შტანგასთან, ფიცარნაზე იღო ჭერ არნახული სიმძიმის იარაღი — 210,5 კილოგრამი. ი. ვლასოვმა შესანიშნავი ტექნიკით შეასრულა მოძრაობა და ხარკორდო შტანგა მოწყვეტა ფიცარნაგს. ამრიგად, სამჭიდის ჯამში მძიმე წონის ძალოსანთა რეკორდმა მიადწია ფანტასტიკურ ციფრს — 550,5 კილოგრამს. მაგრამ ი. ვლასოვის წარმატება ამით არ ამოწურულა. მან ხარკორდო წონა — 168 კილოგრამში მოითხოვა ატაცში და სწრაფი, ტემპიანი მოძრაობით აიტაცა შტანგა თავს ზემოთ. ამერიკელი ნ. შემანსკის ძველმა რეკორდმა გადმოინაცვლა ჩვენს ქვეყანაში. ამ დღეს კიდევ ერთი რეკორდი იქნა დამყარებული ქვესუბუქი წონითი კატეგორიის ძალოსანთათვის აჭიმვაში. ეს საინტერესო ისტორიაა. ადრე, როცა მიმდინარეობდა ამ წონის შტანგისტთა შეჯიბრება, მოსკოველმა ე. მინაევმა მოითხოვა 122 კილოგრამი, რაც 500 გრამით აღემატება ამერიკელი ი. ბერგერის მსოფლიო რეკორდს. მინაევმა ზუსტად შეასრულა მოძრაობა და აჭიმა შტანგა, მაგრამ შემდგომში, როცა წესის თანახმად აწონეს თვით შტანგისტი, აღმოჩნდა, რომ იგი ქვესუბუქ წონითს

კატეგორიაზე მიიმა 800 გრამით. როგორც გამოირკვა, ე. მინაევს ბოლო ცდის წინ წინდაუხედავად დაეღია ჰიქა წყალი, რამაც მას რეკორდის დამყარების საშუალება მოუსპო. ამჯერად მოსკოველმა ზუსტად დაიცვა საკუთარი წონის საზღვრები და აჭიმა 122 კგ. ქვესუბუქ წონაში წინასწარი პროგნოზების მიხედვით პირველი ადგილისათვის უნდა ებრძოლათ ა. ვორობიოვს, ვ. სტეპანოვსა და ა. უიტცკის, რომლებსაც წელს სამჭიდის ჯამში ნაჩვენები ჰქონდათ ერთნაირი შედეგი — 457,5 კგ. მაგრამ გამარჯვება ამ კატეგორიაში დარჩა როსტოველ ვ. ლიხს, რომელმაც აჩვენა სწორედ ეს წონა — 457,5 კგ. პირველ მძიმე წონაში უძლიერე-

სი იყო რ. შეიერმანი — 477,5 კგ. გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავს „ტრუდის“ ძალოსანებმა. ამრიგად, დნეპროპეტროვსკში დამპარამული იმან 7 ახალი მსოფლიო რეკორდი: ე. მინაევი — 168 კგ; ა. ბერგერი (საშუალო წონა) აჭიმა — 122 კგ; ე. ბირბო (მსუბუქი წონა) აჭიმა — 184,5; რ. კლიუკოვლი (საშუალო წონა) ატაცა — 142 კგ; ს. მინიანი — 462,5 კგ; ი. ვლასოვი (მძიმე წონა) ატაცა — 168 კგ; ა. ბერბერი — 210,5 კგ; ს. მინიანი — 550,5 კგ.

სურათზე: ი. ვლასოვი განვილილ ზაფხულს საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდა ლენინგრადში. იგი (მარჯვნიდან მეორე) ესაუბრება თავის კოლეგებს.



მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). საბჭოთა ირმის ცენტრალურ სახლში დაიწყო საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა პადრატში სპორტსახოვადობათა გუნდებს შორის. ტურნირში, რომელიც წარიღლი სისტემით ტარდება. მონაწილეობენ (კენჭისყრის მიხედვით) „დაუგავა“ (რიგა), „სპარტაკი“, „ავანგარდი“ (უკრაინა), „ტრუდი“ (რსფსრ), ცსკა და „ბურევესტნიკი“. 22 დეკემბერს გაიმართა I ტური, მძაფრი შეხვედრებით აღინიშნა „სპარტაკისა“ და ცსკა-ს გუნდების მატჩი. ყურადღების ცენტრში იყო მსოფლიო პირველობის მომავალი

პირველი შეხვედრები — პირველი სიურპრიზები

საზონათაშორისო ტურნირის მონაწილეთა პეტროსიანისა და გელერის პარტია, საინტერესო ბრძოლის შემდეგ პარტია გადაიდო პეტროსიანისათვის უმელო მდგომარეობაში. სპარტაკელებიდან დამარცხდნენ: ხოლო ე. — გუფელთან, ხოლო ტოგონიძე — ზეორიკინასთან. უკანასკნელი პარტიის ბედი გადამწყდა ცაიტოტში, მატჩი შეწყვეტილია ანგარიშზე 4,5:2,5 (სამი პარტია გადადებული) არმიელი სპორტსმენების სასარგებლოდ. თავიდანვე დაიშუტა ბრძოლა „დაუგავასა“

და „ბურევესტნიკის“ მატჩში. ლიდერების სმისლოვისა და ტალის შეხვედრა ყაიმით და მთავრდა. ასეთივე შედეგს შეურთდა პოლუგაეცკი ახალგაზრდა ოსტატ კლოგანთან პარტიაში. ბოლესლავსკიმ მოუგო პეტროსონს. ქალთა დაფებზე მსოფლიო ჩემპიონი ბიკოვა შეხვდა ლატვიის ჩემპიონ ნახიშოვსკიას. პარტია არ დამთავრებულა — იგი გადაიდო თანაბარ მდგომარეობაში. მოულოდნელი დამარცხება განიცადა ზატულოვსკიამ, რომელმაც დროს გადააცილა ცნობილ მო-

ქალაკე ლაუბერტან პარტიაში, გაფრინდა შეილა მისთვის ჩვეული ენერგიით გაითამაშა პარტია როულაპსთან და გაიმარჯვა. მატჩის ანგარიშია 3:2 ბურევესტნიკელების სასარგებლოდ. ხუთი პარტია გადაიდო. „ტრუდისა“ და „ავანგარდის“ გუნდების ლიდერებს — კორჩნოსისა და შტეინის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები შედეგადად აღმოჩნდნენ. კოცმა მოუგო ავერბანს, ვოლპერტმა — კრიუკოვს, ეშნინმა — ბრინკოს და ანტონოვამ — კოზლოვსკიას. თამაში შეწყვეტილია ტრუდელუბის სასარგებლოდ — 4:3.

მეგობრული შარტები მ. მურგანიძის



ბ. შახლინი



თ. ლიუხინა



ნ. მაკალატია



ლ. ლაბინინა

ამ რამდენიმე დღის წინათ საბჭოთა კავშირის საბრტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ფიზკულტურულ ორგანიზაციებში სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა და მასალების პროპაგანდის შესახებ. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა — კომუნისმის მშენებელთა ყრილობა მთელ საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობის ცხოვრებაში შევა როგორც დიდი ისტორიული მოვლენა. ყრილობამ შეაქამა საბჭოთა ხალხისა და მისი მეტროლი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის გამორეული შრომის შესანიშნავი შედეგები და ნათლად გვჩვენა პარტიისა და ხალხის მონოლითური

ერთიანობა. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ფიზკულტურელები და სპორტსმენები ერთსულვანად იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც გამსჭვალულია უდიდესი ზრუნვით ადამიანის კეთილდღეობაზე და ამყობენ იმით, რომ საბჭოთა ადამიანების თანამედროვე თაობა იცხოვრებს კომუნისმის დროს. საბჭოთა ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების პატრიოტული

ვალთა, რომ ისინი სოფლის მეურნეობაში და მრეწველობაში უჩვენებდნენ ნაყოფიერი შრომის მაგალითებს. მათი ვალთა, რომ იბრძოდნენ კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, განუხრებლად ასრულებდნენ კომუნისმის მშენებელთა მორალური კოდექსის მოთხოვნებს. დადგენილება რეკომენდაციას უწევს რესპუბლიკური, საშარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული სპორტკავშირების საბჭოებს, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა საბჭოებს ჩაატარონ პლენუ-

მები, აგრეთვე ჩაატარონ საქალაქო ფიზკულტურული აქტივის კრებები მიძღვნილი სკკპ XXII ყრილობის შედეგებისადმი. ფიზკულტურელები და სპორტსმენები უნ-

ტების შესწავლის დროს, სპორტკავშირების საბჭოებმა ამ დად საქმეს უნდა დაუკავშირონ მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის ამაღლებისათვის ამოცანები; უნდა იბრძოდნენ ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლებისათვის და საბჭოთა ადამიანების ცხოვრებაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვისათვის. დადგენილებაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სპორტსმენ-თანრიგოსანთა მასობრივად მომზადებას, მოსწავლე-ახალგაზრდობს ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესებას, ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობაში საზოგადოებრივი აქტივის ფართოდ მოზიდვას, სპორტულ ნაკებობათა ქსელის გაფართოებას და სხვ.

სკკპ XXII უჩილბის გაღაფუვეტილვაათა ცხტვრემაუი გატარებისათვის

სექტემბრის ბოლოს აჩაგვარის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები ჩაის ტრადიციულ დღესასწაულს იხდიდნენ. მასპინძლებმა სოხუმის რაიონის ილიჩის სახელობის ცენტრების საბჭოთა მეურნეობის მუშა-სპორტსმენებიც მიიწვიეს და ორი რაიონის ფიზკულტურული კოლექტივების მეგობრობა სპორტულ შეჯიბრებებშიც იქედებოდა. რატომ ამჯობინეს აჩაგვარელებმა თავის რაიონის სპორტსმენებს ილიჩის სახელობის მეურნეობის წარმომადგენლები? — ისინი ახლა მთელს აფხაზეთში არიან ცნობილი სპორტული მიღწევებით, — გვითხრეს მათ და ჩვენც ვიწვიეთ მეურნეობის დირექტორს კონსტანტინე გერასიმე მეურნეობის ხელმძღვანელს მუშაებმა სხვადასხვა უბნებზე იყვნენ წასული და მათ ძებნაში მოწინავე ფიზკულტურელები შრომის პროცესში მოვიანხულეთ. — მეურნეობის ენტომოლოგი, ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარე შ. შეჯანამე ფეხბურთში საზოგადოებრივ მწვრთნელ სპორტის ენთუზიასტ ა. უჩანეიშვილთან ერთად სპორტული ოთახისაკენ გავვიძღვა.

ქმ და სხვებმა, რომლებმაც შეძლეს თავიანთ ვარემო შემოეკრიბათ მეურნეობის ახალგაზრდები და ჩამორჩენილი ფიზკულტურული კოლექტივი მოწინავეთა შორის ჩაეყენებინათ. ენთუზიასტებმა ძნელი ამოცანის გადაწყვეტა სპორტული ბაზების მოწყობით დაიწყეს და პირველი

ტის მექანიზაციის ფაქულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტმა რ. ხასიაიმ და სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის სტუდენტმა ჯ. ვაქვამ მოაზადეს კალათბურთელები და გუნდმა წელს რაიონული თასი მოიპოვა. სოხუმის რაიონის ხელბურთე-

ტავით ამ დღეს აქ ფრენბურთელთა შეჯიბრებაც ჩატარდა. „კოლმეურნის“ საოლქო საიუბილო სპარტაკიადზე ტყვიით სროლაში გუნდმა ვ. ცინცაძის ხელმძღვანელობით გუნდური პირველობა მოიპოვა. პირად ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვეს

მოფევემატ. რასაკვირველია, მას აღარ ძალუძს უშუალოდ შეჯიბრებებში მონაწილეობა. მაგრამ მის მიერ ოსტატურად დახატულ აფიშებს რაიონული შეჯიბრების დროსაც იყენებენ ზოლმე მაყურებელთა მასობრივად. ხანშესულ ხელოვნობაში მეგობრულ დამოკიდებულებაშია კონომექანიკოსი მ. ჭეკია, რომელიც მეურნეობის მუშაობა ყველა სპორტულ ღონისძიებას იღებს ფარზე. მოვიანხულეთ მეურნეობის დირექტორი ჯ. გერია, რომელმაც შემდეგი გვითხრა: ჩვენი მეურნეობა მიმდინარე წელსაც გადაჭარბებით ასრულებს წლიურ გეგმას. ამ წარმატებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ფიზკულტურელებს. შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე საბასუხისმგებლო უბნებზე ისინი მყავს მიმაგრებული. რაც მთავარია, ისინი სპორტის დახმარებით კიდევ უფრო შრომატევადს ქმნიან თავიანთ მუშაობას და მათ მიერ მოპოვებული პრიზები ჩვენი პატარა კოლექტივის ერთიანობაზე მეტყველებს. მოკლედ, მე კმაყოფილი ვარ მათი. კმაყოფილი ვარ „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს ხელმძღვანელის შ. მიქელაძის დახმარებითაც. მინდა ვუსაყვედურო მხოლოდ ჩვენი ტრესტის ხელმძღვანელობას, რომელიც ნაკლებ დაინტერესებას იჩენს ახალგაზრდობის ფიზკულტურული საქმიანობით.

დიდი საქმეები

ამხანაგო ფიგკულტურელებო და სპორტსმენებო, ჩვენი ფულილი უავიტანოთ კომუნისტური პარტიის წინასწარღასახულვაათა განსორსილვააუი!


საყოველთაო აღიარება

დღეს როცა უყურებთ თბილ ს-ში მიმდინარე აბსოლუტური პირველობის მსვლელობას, ყველასათვის თვალსაჩინოა, რომ საბჭოთა ტანვარჯიშული სკოლა მოწინავეა მსოფლიოში.

მაგრამ, მე მახსოვს დღეები, როცა ჩვენი თაობა დაუცხრომლად, თავდადებით შრომობდა იმისათვის, რომ მიღწეული ყ-ფილიყო ეს მოწინავე პოზიციები, ეს საყოველთაო აღიარება.

ახლა ერთიც და მეორეც სახე-ზეა. და ჩვენ — ვეტერანებს — ისლა დაგვრჩენია, რომ სიხარულის გრძნობასთან ერთად მხურვალე მილოცვა მივუძღვნათ საბჭოთა ტანვარჯიშის ავანგარდს.

ნ. მიწარინაძე,
საქართველოს ტანვარჯ. შის ფედერაციის თავმჯდომარე.



საბჭოთა კავშირის
1961 წლის
აბსოლუტური
პირველობის
ტანვარჯიშული სკოლა

ორი ჩემპიონი —

ჩვენ უკვე ვწვრდით, რომ შეჯიბრების პირველ დღეს, როცა დაიწყო სავალდებულო პროგრამით გათვალისწინებული ვარჯიშები ქალთა შორის, წინასწარვე თითქმის უტყუარად შეიძლება დაგვესახელებინა ლიდერთა მთელი ჯგუფი. მიუხედავად ამისა, აქაც ახალგაზრდა ე. ვოლნეცკაია და ლ. პეტუხოვა საფუძვლიანად შეარყიეს ნადრევი პროგნოზები.

მითუმეტეს, ძნელი იყო მაყურებლისათვის ვაჟთა შორის ფავორიტები ის თაღიდანვე „ამორჩევა“ მართალია, აქაც ისეთი ცნობილი სახელები იყვნენ, როგორცაა ბ. შახლინი, ი. ტიტოვი, ვ. ლონტიევი და სხვ., მაგრამ მოსკოვის ჩემპიონატმა, ყაზახეთის წარმომადგენლის ი. ცაპენკოს სიურპრიზებმა, ბ. სტოლბოვისა და ა. აზარანის მარცხმა და მთელმა რიგმა სხვა გარემოებებმა, მნიშვნელოვნად ასწიეს ახალგაზრდების „აქტივობა“

და ახალი სიურპრიზების მოლოდინით გამსჭვალეს ტრიბუნები. ეს მოლოდინი არც გამტყუნებულა, ყოველ შემთხვევაში — სავალდებულო ვარჯიშების დროს. თუმცა, აქვე უნდა ითქვას: არც ვეტერანებსა და აღიარებულ ოსტატებს არ დაუთმიათ თითქმის არაფერი თავიანთი პოზიციებიდან. ასე

დებულო ვარჯიშების მრავალკუდი-ში ორჯერ იყო შემთხვევა, როცა ყაზახეთის ახალგაზრდა წარმომადგენელი სათავეში მოექცა უძლიერესთა ცხრილს. ეს იყო მეორე ვარჯიშის შემდეგ, როცა მან, ტაიჭუე მოაგებელი 9,45 ქულის მეორე, უმაღლესი შეფასება — 9,5 მიიღო რგოლებზე და 0,1 ქულით

მელსაც არა აქვს 9,4 ქულაზე ნაკლები შეფასება. სწორედ მრავალკუდიანის ამ იშვიათი თვისებების წყალობით შეძლო ორივე ვეტერანმა გადასწრო ცაპენკოსათვის სავალდებულო ვარჯიშების დამთავრების შემდეგ.

— 55,35, ი. სტოიდა — 55,1, ბ. მიხაილოვი — 54,95.

შ. ჯუღელი

უკანასკნელ საათს!

საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის წოდებისათვის მებრძოლ ტანვარჯიშე ქალთა ჯგუფს 6 ვარჯიშის შემდეგ ლიდრობდა ლ. ლა-ტინინა (უკრაინა). მას 0,2 ქულით ჩამორჩებოდა თ. ლიუხინა.

ლ. ლაჭინინა და თ. ლიუხინა

რომ, აბსოლუტური ჩემპიონატის პირველ დღეს, როცა ჩვენი ქვეყნის 17 უძლიერესი ტანვარჯიშე ვაჟი ერთმანეთს ეჯიბრებოდა სავალდებულო პროგრამით გათვალისწინებულ ვარჯიშებში, თბილისელ მაყურებლებს ბედნიერი შემთხვევა ჰქონდათ ეთვალთვალე-ბინათ ახალი და ძველი თაობის შერევისათვის სწორედ „თანაფარდობის“ იმ მომენტში, როცა პირველი უაღრესად საბრძოლო განწყობილებითაა გამსჭვალული, ხოლო მეორე, ამ ახალგაზრდულ „შტურმ უნდ ღრანგს“ უპირისპირებს უმძიმეს ბრძოლებში გამობრძმედელ თავის ექსტრა-კლასს, უმდიდრეს გამოცდილებას და სიღინჯის.

მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, უფრო სასიამოვნოა სიურპრიზებზე ლაპარაკი, რამდენადაც მათში ყოველთვის იგულისხმება სიახლის, შიშვალის მაჯისცემა. ოღონდ, შეიძლება თუ არა სიურპრიზი ვუწოდოთ ი. ცაპენკოს წარმატებებს? მხოლოდ ნაწილობრივად! — რამდენადაც მის მიერ მოსკოვიდან წადებული სამი ოქროს მედლის შემდეგ თვითონ ვეტერანებიც ელოდნენ, რომ თბილისში მათ აუცილებლად ექნებოდათ „საქმე“ ცაპენკოსთან.

ეს მართლაც ასე მოხდა. სავალ-

დაუსწრო ბ. შახლინს, რომელსაც ჰქონდა 18,85 ქულა, მსუბუქი, ძალდაუტანებელი და მკაფიოდ გამოსახული მოძრაობანი — ზოგადად ასე შეიძლება დავახასიათოთ ამ ტანვარჯიში სპორტსმენის თავისებურებანი, რომლებიცაა ის სანახაობრივად სრულიად „იოლს“ ხდის სავალდებულო პროგრამის მეტად მკაცრ და მძიმე ვარჯიშებს. ხოლო მის მორალურ წყობაზე გარკვეულ წარმოდგენას მოგვცემს შემდეგი ფაქტი: ორი იარაღის ჯამში მოაგებელი წარმატების შემდეგ ცაპენკომ დაბალი შეფასება მიიღო ბეჭდით ხტომებში და ერთხელ და ორი ადგილით ჩამოქვითა და. მდგომარეობა თითქმის სავალალო გახდა, მითუმეტეს, რომ I-II ადგილებზე მიდიოდა არა სხვა ვინმე, არამედ ი. ტიტოვი და ბ. შახლინი, რომელთა გადასწრება საკმაოდ აღმავტება „ჩვეულებრივი“ ამოცანების ფარგლებს. და აი, იერი ცაპენკო ორქულზე! მისი ყოველი აქნევი, გადასვლა ერთი ილეთიდან მეორეზე, და ბოლოს — მეტად რთული დაბოლოება მაღალი სრულდება ისეთი ფიზიკურ-სრულად დახვეწილი მოძრაობებით, ამასთან — ისეთი დაბეჭდვით და სიმსუბუქით, რომ ჩვეულებრივი თვალი ვერ ამჩნევს თითქმის ვერავითარ ნაკლს. იგი არც ცდება: მსაჯები სვამენ უმაღლეს შეფასებას არა მარტო ამ იარაღზე, არამედ საერთოდ, მთელს სავალდებულო პროგრამაში — 9,8 ქულას. და ი. ცაპენკო კვლავ პირველ ადგილზე!

მაგრამ, თავისი წილი უნდა მიეუზღაოთ ი. ტიტოვსა და ბ. შახლინსაც. თუ ახალგაზრდა აღმა-ბრუნებული ხშირ აღმაფრენებთან ერთად ასევე ხშირად განიცდის ჩავარდნებს (9,2 — ხტომებში, 9,1 — ლერძზე), ი. ტიტოვი ნამდვილი, გამობრძმედილი მრავალკუდიანის ძლიერ შთაბეჭდილებას სტრუ-ვეებს. ამის ნათელი დადასტურებაა მის მიერ მიღებული 9,6 ქულა ხტომებში და ლერძზე, 9,5 — ტაიჭუე, 9,45 — თავისუფალ ვარჯიშში. იგივე ითქმის ბ. შახლინზეც, რომ

ახალგაზრდა ქართველი ტანვარჯიშის — ნ. მაკალათიას შედეგებიც. ის ამჟამად IV-V ადგილებს იკავებს ვ. ლონტიევიდან ერთად. მაგრამ, მთავარი ის არის, რომ მისმა ვარჯიშებმა საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვეს, განსაკუთრებით კი იმით, რომ მათ წარმოგვიდგინეს სპორტსმენის დაახლოებით თანაბარი ძალე ყველა იარაღზე. ეს იგივე მრავალკუდიანის ტიპია, ოღონდ ქვეყნობით — ერთი „რანგი“ უფრო დაბალი ლიდერებთან შედარებით. ამ თვალსაზრისით საკუთარს მისი შეფასებანი ცალკეულ იარაღებზე: 9,4 ქულა — თავისუფალ ვარჯიშში, 9,3 — ტაიჭუე და ხტომებში, 9,35 — რგოლებზე, 9,45 — ორქულზე, 9,2 — ლერძზე.

გაგვახარა ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელმაც — ზ. კაპახიძემ, რომელიც მხოლოდ XII ადგილზე იმყოფებოდა, როცა მეორე ვარჯიში დაიწყო. ამ ვარჯიშის შემდეგ მისი ფავორი უკვე გამოჩნდა ათეულის „პორბონტზე“ — ის X-XI ადგილებს იკავებდა ი. იაზოვსკისთან ერთად. ხტომებში მიღებული 9,2 ქულის შემდეგ რ. კაპახიძე უკვე „საუკეთესო“ ფლობდა მეორე ადგილს. შემდეგ დაიწყო დაძაბული, ძნელი ბრძოლა მოპოვებული პოზიციების განმტკიცებისათვის: 9,25 — ორქულზე და მეცხრე ადგილი უძლიერესთა ათეულში; 9,35 და 9,3 ლერძსა და თავისუფალ ვარჯიშში და მეორე ადგილი!

ორი ქართველი სპორტსმენი ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ტანვარჯიშეთა ათეულში! — ეს გარემოება იმედობათ ალავებს სპორტის ამ სახეობის უამრავ თავყანისმცემელს ჩვენს რესპუბლიკაში...


მოგვეყავს სავალდებულო ვარჯიშების შემდეგ ათი საუკეთესო შედეგების მქონე სპორტსმენთა სია ვაჟთა შორის:

ვაჟები: ი. ტიტოვი — 56,8, ბ. შახლინი — 56,7, ი. ცაპენკო — 56,6, ნ. მაკალათია, ვ. ლონტიევი — 56,0, ი. მაკურიანი — 55,75, ი. იაზოვსკი — 55,65, რ. კაპახიძე

მომდევნო იარაღი იყო ღვირი. აქ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა თ. ლიუხინას სწრაფვამ ფინიში-საკენ. მის მიერ შესრულებული ვარჯიში შეფასებულ იქნა 9,75 ქულით. და ეს მაშინ, როცა განსაკუთრებით ერთმა ხაგრძნობმა შეცდომამ წონასწორობის დაცვაში ლატინინას საშუალება არ მისცა მიეღო 9,45 ქულაზე მეტი.

ამრიგად, უკანასკნელი იარაღის წინ ლიდერები შეიცვალენ — თ. ლიუხინა — 66,65 ქულა, ლ. ლა-ტინინა — 66,55 ქულა, თავისუფალ ვარჯიშში ლ. ლატინინამ მიიღო 9,85 ქულა, ხოლო ლიუხინამ — 9,75 ქულა. ამრიგად, ორივე სპორტსმენმა მრავალკუდიანის ჯამში დააგროვა ქულათა თანაბარი რაოდენობა — 76,4. მათ ერთად მოიპოვეს კიდევ ჩვენი ქვეყნის 1961 წლის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება. მესამე ადგილზე 75,85 ქულით გამოვიდა თ. მანინა (ლენინგრადი).

სურათებში: (ზევით) თბილისის სპორტის სახალხო შეჯიბრების დროს. (ქვევით) სავალდებულო ხტომას ასრულებს სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. შახლინი, ფოტო მ. ზარგარაინისა.



საქართველო

ჩვენს გაზეთში რამდენიმე წერილი დაიბეჭდა იმის თაობაზე, თუ როგორ ემზადებიან XVIII ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად მასპინძლები — იაპონელები. თამაშებამდე თითქოს დრო საქმარისზე მეტია დარჩენილი, მაგრამ მსოფლიოს ამ უდიდესი ასპარეზობის ჩატარება, უამრავი სტუმრების მიღება და დაბინავება, სპორტსმენთა უზრუნველყოფა ბაზებში და სხვა მისთანანი, დაკავშირებული ისეთი სიძნელეებთან, რომ 3-4 წელი არც ისე ბევრია ყველა სამუშაოს დროზე და ხარისხიანად შესასრულებლად.

იაპონელები საგანგებოდ ემზადებიან მორიგი ოლიმპიადის ჩასატარებლად. საქმე იმაშია, რომ ოლიმპიური თამაშები ჯერ არასოდეს არ შემდგარა აზიაში და, ცხადია, მასპინძლებს სურვილი აქვთ დაამტკიცონ, რომ მათი კონტინენტი არაფრით არაა ნაკლები ევროპაზე, ამერიკასა და ავსტრალიაზე. იაპონიას ამომავალი მზის ქვეყანას უწოდებენ, ამიტომ იაპონელებმა XVIII ოლიმპიადის ემზადებად ამოირჩიეს გაკაშვებული მზის დისკო, მის ქვეშ — ხუთი გადაკედობილი რგოლი და წარწერა: ტოკიო, 1964.

პირველი და უმთავრეს პრობლემა, რომელიც გადასაჭრელი ჰქონდათ ტოკიოს ხელისუფალთ, ეს იყო გზები. იაპონიის დედაქალაქში ამჟამად 10 მილიონამდე კაცი ცხოვრობს, მაგრამ თვით ქალაქი შედარებით მცირე ტერიტორიაზე მდებარეობს და ვიწრო, დახლართული ქუჩების ლაბირინთში მანქანების ურიცხვი რაოდენობა გაჭედილი გათენებებიდან გვიან დაღამებამდე, გზას, რომელსაც ჩვეულებრივ 10-15 წუთი ჰქირდება, ტოკიოში მთელ საათს ანდომებენ ხოლმე. წვისის მცარეოდენი დარღვევისას აგარია გარანტირებულია.

ამიტომ ოლიმპიადის მონაწილე-

ჩვენი გაზეთის მკითხველთა დიდი ჯგუფი, რომელთა შორის არიან სპორტის მოყვარულები ახალციხიდან, ცხაქაიდან, რუხთაიდან და სხვა ქალაქებიდან, გვთხოვენ გამოვაქვეყნოთ ახალი ცნობები იმის შესახებ, თუ რა მზადება წარმოებს 1964 წლის ოლიმპიური თამაშებისათვის იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში.

თა და ტურისტთა გადაყვანა ტოკიოს ერთი კუთხიდან მეორეში, საკმაოდ რთული საკითხია. გამოსავალი მხოლოდ ერთია: მთელ რიგ ადგილებში უნდა მოხდეს ქალაქის რეკონსტრუქცია, ადგილ იქნას ძველი შენობები, ძველი ქუჩები და მათს ნაცვლად გაიქიმოს ფართო საკომუნიკაციო მაგისტრალი. ტოკიოს მუნიციპალიტეტმა ასეთი რეკლამაც კი გამოაკრა: ჩვენ გვექნება ლარივით სწორი ოლიმპიური პროსპექტი.

საკოვლოდ ცნობილია, რომ იაპონია მიწის სისტემა ნაკლებობას განიცდის. წყნარი ოკეანისა და იაპონიის ზღვას შუა მდებარე ამ კუნძულზე, რომელიც 3.400 კილომეტრზეა გაჭიმული, ხოლო სიგანე სულ რაღაც 300 კილომეტრი აქვს, თვითუფრო ცილა მიწა ოქროს ფასად ღირს და უქმად არასოდეს არაა მიცდენილი. ამიტომ ტოკიოს მახლობლად ოლიმპიური სოფლის გაშენება, ესაა პრობლემა, რომელიც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხად იქცა. ორგანიზატორებმა დედაქალაქის სიახლოვეს, როგორც იქნა, გამოიკვინეს შესაფერისი ტერიტორია, მაგრამ იგი დაკავებული ჰქონდა ამერიკული ჯარის ნაწილებს. იაპონელებმა კარგად იციან, თუ რა საჩივრო საქმეა საერთაშორისო მიწა თხოვო ამერიკელებს, ამიტომ მათ დიდის თავზაიანობითა და ტაქტით მიმართეს ჯარის ნაწი-

ლებს სარღობას დაეთმოა მათი ეს დიდნი საჭირო მიწა.

ამერიკელებმა ჯერ ცივი უარი სტიციეს იაპონელებს, ხოლო შემდეგ მოღბნენ და ასეთი ულტიმატუმი წაუყენეს მათ: ოლიმპიური სოფლის ასაგებად თქვენ უნდა დაანგრეთ სამხედრო ყაზარმები და მათს ადგილას აღმართოთ ახალი შენობები. როგორც კი დამთავრდება ოლიმპიური თამაშები, მოშალეთ თქვენი სოფელი და კვლავ ააგეთ ყაზარმები.

საბოლოოდ, იაპონელთა ოლიმპიურმა შეტევამ თავისი მინც გაიტანა და ამერიკელებმა დათმეს მიწა.

ტოკიოს ცენტრალური სტადიონი, სადაც უნდა მოხდეს XVIII ოლიმპიადის გახსნა და დახურვა, ჩატარდეს შეჯიბრებათა უმთავრესი ნაწილი, თანამედროვე ტიპის ნაგებობაა. იგი 1958 წელს აშენდა, მაგრამ სტადიონის გაბარიტები (60 ათასი ადგილი) ევრაფიურ შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს, ამიტომ განზრახულია მისი საფუძვლიანი რეკონსტრუქცია, რის შემდეგ მაყურებელთა რაოდენობა 90 ათას მიიღწევს.

ფინელთა მსგავსად, რომლებსაც თავიანთ ოლიმპიურ სტადიონზე ჰელსინკიში ვოშკი აქვთ აღმართული ზუსტად 72 მეტრსა და 71 სანტიმეტრის სიმაღლისა, რაც მ. იარვინენის აღრიცხვით მსოფლიო რეკორდს აღნიშნავს, იაპონელებმა ტოკიოს სტადიონზე აღმართეს 15 მ 21 სმ სიმაღლის ანძა ოლიმპიური დროშისათვის. ეს ციფრი ზუსტად შეესაბამება იაპონელი მძლეოსნის მიკიო ოდას მანქანებელს 1928 წლის ოლიმპიურ თამაშებზე სამხტომში. მაშინ მ. ოდამ ოქროს მედალი მოიპოვა.

ჩვენ აღრე უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ იაპონიაში მძლეოსნობის სპეციალისტებმა კა-

უნჯის ნარევისაგან დაამზადეს ახალი სარბენი ბილიკი, რომელმაც მათი აზრით, მსოფლიო რეკორდები უნდა განაახლოს თითქმის ყველა დისტანციაზე 1964 წელს. მაგრამ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ მასპინძლებს არ მისცა ამგვარი «სინთეტიკური» სარბენი ბილიკის გაყვების ნება, ვინაიდან ეს პირველყოფისა, იაპონელ მძლეოსნებს მისცემდა უპირატესობას, რომლებსაც საშუალება ექნებოდათ ორი წელიწადი ევარჯიშათ თავიანთ უნიკალურ ბილიკზე.

მაგრამ მსოფლიოს გამოჩენილი სპეციალისტები, ცნობილი სპორტსმენები უმალდეს შეფასებას აძლევდნ ტოკიოს სტადიონის ახლანდელ ბილიკს, რომელიც ყოველმხრივ შესაბამება საერთაშორისო სტანდარტს. იგი დაკულია ქარისაგან, მკვრივი და ხარისხიანია.

იაპონელებმა მინც გამოიყენეს სიახლე მძლეოსანთა წვრთნაში, ესაა მექანიკური ლიდერი, რომლის საშუალებითაც მწვრთნელს საშუალება აქვს რბენის დროს პრაქტიკული მითითებები მისცეს სპორტსმენს. მძლეოსნობის წესებით შეჯიბრებათა მსვლელობაში კატეგორიულად აკრძალულია ყოველგვარი ლიდერის გამოყენება, ამიტომ იაპონელთა ეს ნოვატორობა ევრაფიურ ვერ გასცდება წვრთნის ფარგლებს.

ოლიმპიურ ასპარეზობას, რასაკვირველია, არ ეყოფა მხოლოდ ერთი სტადიონი. ტოკიოში და მის მახლობლად ამჟამად აშენებენ აუზებს, ველოტრეკებს, დარბაზებს და ა. შ. იაპონიის ოლიმპიური კომიტეტის საგანგებო ემისარები დეტალურად სწავლობენ რომის, მეტურნისა და ჰელსინკის თამაშების ორგანიზაციასა და სტრუქტურას, ასე რომ, გამოცდილება მათ უკვე საქმარისზე მეტი მიიღეს.

ზედმეტი არ იქნება ყველაფერზე მთქმულს დაუმატოთ რამდენიმე სიტყვა იაპონიის კლიმატის თავისებურებათა შესახებაც. აქ ჩამოსულ სპორტსმენებს აკლიმატიზაციის მისაღებად აუცილებლად დასჭირდებათ სულ ცოტა ერთი კვირა მაინც. მაგრამ ეს ადგილზე, უშუალოდ შეჯიბრებათა დაწყების წინ, მანამდე კი მათ ხანგრძლივი წვრთნის ჩატარება დასჭირდებათ დახლოებით ისეთივე პირობებში, როგორც იაპონიაშია.

დაპიანავული


პასუხი

ერთხელ გამოჩენილმა საქადრამ კომპოზიტორმა, ამერიკელმა ლიონარდ ჯაუგანამ ერთი ფრანგული ჟურნალის რედაქტორს. უნდოდა რა ყოფილიყო თავიანთი და მალე მიეღო პასუხი, წერილი ფრანგულ ენაზე დაწერა.

პასუხი, რომელიც ძალზე დაგვიანდა, ასე თავდებოდა: „თუ კი თქვენ როდესმე კიდევ გამოგზავნით წერილს, უმორჩილედ სად გთხოვთ მოიწეროთ ინგლისურ ენაზე. ზოგიერთ ფრანგებს ეს ენა, მე კი თქვენი ფრანგულის გასაგებად ძლიერ მოეძებნენ თარჯიმანი“.

პეოხანა

მ. არაუშვილაშვილი (თბილისი)




შამათი 4 სვლაში.

უნგრელთა გაგარკვება

როგორც ცნობილია, სამხრეთ ამერიკაში ამხანაგურ საერთაშორისო მატჩებს ატარებს უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. უნგრელებმა თავიანთი მორიგი მატჩი ჩაატარეს ჩილის ქალაქ კონსეპსიონის ნაკრებთან. უნგრელები მინდორზე გამოვიდნენ ქ. ბუდაპეშტის ნაკრები გუნდის სახელით, მატჩი მოიგეს სტუმრებმა ასგარივით 3:0.

რედაქტორი ი. უგულაშვილი.

25 - 27



რედაქტორი

26 დეკემბერი

სახელმწიფო ცირკის
შენიშნული
საქალაქთაშორისო
მატირი პრივივი

თბილისი-მინსკი

დასაწყისი 19 ს. 30 წ.




ფრანგურთში 1962 წლის
საპაავშირო პირველობის
წინასწარი თამაშები

მონაწილეობენ: ქალები — „დინამო“ (მოსკოვი), „ბურევესტნიკი“ (თბილისი), მოლდავეთის გუნდი, „დინამო“ (კრასნოდარი), ვაუები — „ბურევესტნიკი“ (ბაქო), „სპარტაკი“ (ლენინგრადი), „ბურევესტნიკი“ (თბილისი), „ზახმეტი“ (აშხაბადი).

დასაწყისი 16 საათზე.

საბჭოთა კავშირის 1961 წლის ახსოვლუტური პირველობა



3 აქტივი — ნაზისშირი პროგრამა.

დასაწყისი 18 საათზე.